საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MES 5 21 0000002438

14/07/2021

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.".

2. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ვრცელდება სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულებზე (მათ შორის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებზე).“.

ბ) მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დასაქმებულს (გარდა კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულისა), წელიწადში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ოდენობით სამსახურის გაცდენა შესაძლებელია ჩაეთვალოს საპატიოდ, თუ ეს გაცდენა გამოწვეულია მისი დაქორწინებით ან ოჯახის წევრის (მეუღლე, მშობლები, შვილები, მშვილებელი, ნაშვილები, ბებია-ბაბუა, შვილიშვილები, და-ძმა, მათი შვილები, მეუღლის დედა და მამა) გარდაცვალებით.“.

გ) 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

დ) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ე) 37-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

,,6. სამსახურის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის ღია და დახურული დერეფნები და შესასვლელი კონტროლდება ვიდეოთვალთვალის სისტემის საშუალებით, დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით.".

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

4. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 15 ივლისიდან.

5. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
გელაძე გელა